

სამუშაო პროცესების დამუშავება სამოქალაქო სამართალწარმოების (უდავო წარმოება) ავტომატიზებულ სისტემაში

თეიმურაზ სუხიაშვილი, ბექა ხვედელიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

საპრობლემო სფეროს მართვის კომპიუტერული სისტემების დამუშავებისას პრეცედენტებისა (მოთხოვნების) და აქტიორთა როლების დადგენის შემდეგ მნიშვნელოვანია განისაზღვროს და დამუშავდეს მათი სამუშაო პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს არა მარტო სრულად შესრულდეს პრეცედენტით გათვალისწინებული ქმედებები, არამედ იყოს მოხერხებული, მარტივი და გასაგები. მოყვანილი პრობლემის გადაწყვეტა დამოკიდებულია როგორც მოთხოვნების ქმედებათა სემანტიკაზე, რაც კერძოდ სამოქალაქო სამართალწარმოებასთან მიმართებაში დაკავშირებულია უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეთა მრავალსახეობაზე, ასევე მათი კომპიუტერული რეალიზების საშუალებებზე. სტატიაში განიხილება აქტიორთა სამუშაო პროცესების დამუშავება სამოქალაქო სამართალწარმოების (უდავო წარმოება) კომპიუტერული მართვის სისტემაში.

საკვანძო სიტყვები: სამოქალაქო სამართალწარმოება. უდავო წარმოება. კლიენტ-სერვეული არქიტექტურა. ინტერფეისი. ბიზნესპროცესი. აქტიურობის დიაგრამა. სამუშაო პროცესი.

1. შესავალი

სამოქალაქო სამართალწარმოების, კერძოდ კი უდავო წარმოების კომპიუტერული მართვის სისტემის დამუშავებისას, აქტიორები (მომხმარებლები) და მათი როლები განსაზღვრული იყო სისტემისადმი მოთხოვნების დახასიათებისას (პრეცედენტების დიაგრამა). სისტემისადმი მოთხოვნილებების მოდელირება მიუთითებს, თუ რას უნდა აკეთებდეს სისტემა თითოეული გარე მეთვალყურის თვალთახედვით, იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ უნდა აკეთებდეს იგი ამას.

შემდეგ ეტაპზე პრეცედენტთა სცენარების საფუძველზე უნდა განისაზღვროს, თუ რა მოქმედებები და რა თანმიმდევრობით უნდა აკეთოს აქტიორმა სისტემასთან ურთიერქმედებისას, რომ უზრუნველყოს მისი მოთხოვნების შესრულება. ეს კი, დამოკიდებულია, ერთი მხრივ პრეცედენტის შინაარსზე და, მეორე მხრივ, მათი კომპიუტერული რეალიზაციის საშუალებებზე. ცხადია, სამუშაო პროცესიც უნდა იყოს მოხერხებული, მარტივი და გასაგები მომხმარებლისათვის, რომელსაც შესაძლებელია არ ჰქონდეს კომპიუტერული განათლება. ამასთან, უდავო წესით სამოქალაქო სამართალწარმოების საქმე რამდენიმე სახისაა და თითოელის წარმოების წესი განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსით. ამიტომ, უდავო წარმოებისას მნიშვნელოვანია მიზანმიმართულად წავრმართოდ აქტიორთა მოქმედება, რომ უზრუნველყვით სამართალწარმოების ეფექტურობა.

2. ძირითადი ნაწილი

მოცემული ამოცანის გადასაწყვეტად თავდაპირველად განვსაზღვროთ თუ რისი შესრულებას მოითხოვს აქტიური კომპიუტერისაგან ანუ მოვახდინოთ პრეცედენტების სცენარების ფორმალიზება. პრეცედენტების მოქმედებათა დასაზუსტებლად ვაგებთ აქტიურობის დიაგრამებს თითოეული სახის უდავო წარმოების საქმისათვის, რომლის მეშვეობით შეგვიძლია დავადგინოთ მართვის ნაკადის გადაცემა ერთი მოქმედებიდან მეორეზე გადასვლისას. აღნიშნული დიაგრამების აგებისას ვეყრდნობით სამოქალაქო კოდექსს. უდავო საქმეთა წარმოების მრავალსახეობის გამო მოვიყვანოთ ერთ-ერთის (საბუთის კუთვნილების ფაქტის დადგენა) აქტიურობის დიაგრამა (ნახ.1). აგებულ დიაგრამებზე მოყვანილი ქმედებების სემანტიკური ანალიზის საფუძველზე უნდა განვაზოგადოთ და კომპიუტერული რეალიზების გათვალისწინებით დავადგინოთ მოსამართლის სამუშაო პროცესი.


აგებული დიაგრამების ანალიზის შედეგად დადგენილ იქნა ტიპური ქმედებები, რომლებიც დამახასიათებელია სამოქალაქო საქმეთა უდავო წესით საქმეთაწარმოებისათვის. აღნიშნული ოპერაციები შემდეგ ეტაპზე გაანალიზებული იქნა კომპიუტერული რეალიზების თვალთახედვით. ეს მოქმედებებია:

- საქმის წარმოების დოკუმენტის შექმნა (Create);
- საქმის შესახებ დოკუმენტის რედაქტირება (Edit);,
- საქმის წარმოებისათვის დოკუმენტის(მიმართვა) გაგზავნა (Send),
- საქმის წარმოებისათვის ინფორმაციის ძებნა (Search);

საქმის წარმოების დოკუმენტის შექმნა (Create) გულისხმობს გადაწყვეტილების, განჩინების და უდავო საქმის ტიპის მიხედვით სხვადასხვა დოკუმენტის ფორმირებას. რედაქტირებით (Edit) ხდება უდავო საქმის შეცვლა (დამატება, გამოკლება) მიმდინარე მოვლენებითა და ფაქტებით (მტკიცებულებები, ექსპერტიზის დასკვნები, პუბლიკაციის შედეგები). დოკუმენტის გაგზავნისას (Send) მოსამართლეს საშუალება ეძლევა მიმართოს გარეშე ორგანიზაციებს საქმის შესახებ მტკიცებულებების მისაღებად დანიშნოს ექსპერტიზა, მოახდინოს საქმის შესახებ პუბლიკაცია და სხვ. ინფორმაციის ძებნით (Search) მოსამართლეს საშუალება ეძლევა მოიძიოს საჭირო ინფორმაცია სასამართლოების ერთიან ინფორმაციულ ბაზაში.

სასამართლო სისტემის ავტომატიზაციისათვის იქმნება სასამართლო კომპიუტერული ქსელი. იგი წარმოადგენს განაწილებულ სამრგოლიან კლიენტ-სერვერულ სისტემას, რომელშიც გამოიყოფა ინტერფეისული (კლიენტური), შუალედური (ბიზნეს-ლოგიკის) რგოლები და სერვერი (მონაცემთა საცავი).


ინტერფეისული რგოლის (კლიენტური ნაწილი) დანიშნულებაა სისტემის მომხმარებლებთან ურთიერთქმედება ანუ მისი ბრძანებების მიღება და გადაცემა ბიზნეს-ლოგიკის რგოლში და მისგან მოსული ინფორმაციის ასახვა მომხმარებლისათვის გასაგები და ადვილად აღსაქმელი ფორმით. ინტერფეისულ რგოლში არ ხდება არავითარი ინფორმაციის დამუშავება, გარდაქმნა ან სისწორეზე შემოწმება. აგრეთვე აქ არ ხდება ამოცანის ლოგიკასთან დაკავშირებული რომელიმე პროცესის მართვა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილს ახორციელებს შუალედური რგოლი.



ნახ.1.

ამიტომ, იმისათვის რომ უზრუნველყოთ მოსამართლისათვის განკუთვნილი სამუშაო პროცესი უდავო წესით სამოქალაქო სამართალწარმოების წარმართვისათვის დადგენილი მოქმედებები უნდა განლაგდეს ინტერფეისულ შრეში, რომლის იმპორტს განახორციელებს მოსამართლის როლის შემსრულებელი კლასი, ხოლო კლასები, რომლებიც ახორციელებს მოყვანილი ოპერაციების - მოქმედებების რეალიზებას და

ექსპორტირებას განთავსებულ იქნება შუალედურ ანუ ბიზნესლოგიკის შრეში (ნახ.2).



ნახ.2.

ინტერფეისის ჩამოთვლილი ვარიანტები ეხება სისტემის მომხმარებელს, მოცემულ შემთხვევაში მოსამართლეს, რომლებიც ანხორციელებენ მოცემული უდავო საქმის წარმოებას. ამ დიაგრამიდან ჩანს რომ ინტერფეისულ რგოლში, მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს სხვადასხვა მოქმედებები, რომელიც შემდეგ გადაეცემა შუალედურ რგოლს. შუალედურ რგოლში ხდება უშუალოდ პროცესის შესრულება. ამ პროცესში ინტერფეისული შრე არ მონაწილეობს. ის მხოლოდ ინფორმაციის ასახვას და მომხმარებლის გადაწყვეტილებების მიღებას და შუალედურ რგოლში გადაცემას ემსახურება.

შუალედური რგოლი, მას კიდევ ბიზნესლოგიკასაც უწოდებენ, წარმოადგენს ყველაზე ძირითად რგოლს სისტემაში. ამ რგოლშია თავმოყრილი სისტემის მთელი ფუნქციური ნაწილი (ბიზნესლოგიკა). იგი სერვერია, რომელიც ემსახურება კლიენტებს (ინტერფეისული რგოლი). შესაბამისად, აქ განლაგდებიან კლასები, რომლებიც ახდენენ მოყვანილი მომსახურების(ინტერფეისი) რეალიზებას. ამიტომ, თუ სისტემის მუშაობის ლოგიკა შეიცვლება (მოსამართლის სამუშაო პროცესის შეცვლისას), საჭირო იქნება მხოლოდ შუალედური რგოლის მოდერნიზაცია.

3. დასკვნა

აქტიორთა სამუშაო პროცესების დამუშავებისა და რეალიზების მოყვანილი მიდგომა საშუალებას გვაძლევს უზრუნველვყოთ მომხმარებელი მარტივი, მოხერხებული და ადვილად ცვალებადი პროცესით.

ლიტერატურა - References – Литература:

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მიღებულია 1997 წლის 14 ნოემბერს (15.06.2002 მდგომარეობით). „სამართალი“, თბ., 2002. მე-4 გამოცემა.
2. Арлоу Дж., Нейштадт А. (2008). UML 2 и Унифицированный процесс. 2-е изд. Практический объектно-ориентированный анализ и проектирование. Ст-Петербург, Москва.
3. სუხიაშვილი თ. (2005). ავტომატიზებული მართვის თეორიული საფუძვლები. მონოგრაფია. სტუ. გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი.

DEVELOPMENT OF WORKING PROCESSES IN AN AUTOMATED CONTROL SYSTEM OF CIVIL OFFICE-WORK (NOT CLAIM PRODUCTION)

Sukhiashvili Teimuraz, Khvedelidze Beka., Shurgaia Irakli

Georgian Technical University

Summary

When developing a computer control system of the problem environment, after establishment roles of precedents and actors it is necessary to define and establish their working processes which will ensure not only be the actions implemented but also be convenient, easy and understandable. The solution to the problem is dependent on the semantics of the requirements and on their computer realization methods. In article development of working processes in a computer control system of civil office-work (not claim production) is considered.

РАЗРАБОТКА РАБОЧИХ ПРОЦЕССОВ В АВТОМАТИЗИРОВАННОЙ СИСТЕМЕ УПРАВЛЕНИЯ ГРАЖДАНСКИМ ДЕЛОПРОИЗВОДСТВОМ (НЕИСКОВОЕ ПРОИЗВОДСТВО)

Сукиашвили Т., Хведелидзе Б.

Грузинский Технический Университет

Резюме

При разработке компьютерной системы управления проблемной среды, после установления прецедентов(требований) и ролей актеров необходимо определить и установить их рабочие процессы, которые обеспечат не только полное исполнение предусмотренных прецедентами действий, но и быть удобными, простыми и понятными пользователям. Решение данной проблемы зависит как от семантики действий прецедентов (требований), в частности в отношении гражданского делопроизводства, что связано с существованием многочисленных видов неискowego права рассматриваемых дел, так и от средств их компьютерной реализации. В статье рассматривается разработка рабочих процессов в компьютерной системе управления гражданским делопроизводством (неискговое производство).